2-12618/19
08-07-2019

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საქართველოს პარლამენტის

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენის თაობაზე შეგროვებული ხელმოწერების ნამდვილობის შესახებ

საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა 2019 წლის 8 ივლისს კომიტეტის სხდომაზე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 123-ე მუხლის შესაბამისად, განიხილა წარმოდგენილი საქართველოს პარლამენტის წევრების ხელმოწერების ნამდვილობის გადამოწმების შედეგები, რომელიც ეხებოდა „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციურ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენის უფლების განხორციელებას.

გადამოწმების შედეგად დადგინდა საქართველოს პარლამენტის 93 წევრის ხელმოწერის ნამდვილობა, რაც შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის 77-ე მუხლის პირველი პუნქტითა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 123-ე მუხლით დადგენილ ხელმოწერების რაოდენობას (პარლამენტის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტს).

ყოველივე ზემოაღნიშნული იძლევა საქართველოს კონსტიტუციის 77-ე მუხლის პირველი პუნქტით მინიჭებული საკანონმდებლო ინიციატივის განხორციელების უფლებას.

დანართი: (კანონპროექტი 6 ფურცელი, პარლამენტის წევრების ხელმოწერები 6 ფურცელი).

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე
გურამ მაჭარაშვილი